ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის **2023** წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსავლები	**295 727,2**	**244 485,8**	**82,7%**
გადასახადები	96 206,8	86 681,5	90,1%
გრანტები	136 373,9	83 326,4	61,1%
სხვა შემოსავლები	63 146,5	74 477,9	117,9%
ხარჯები	**203 224,4**	**133 398,3**	**65,6%**
შრომის ანაზღაურება	37 387,6	29 455,9	78,8%
საქონელი და მომსახურება	70 101,3	48 430,5	69,1%
პროცენტი	4 805,4	2 395,5	49,9%
სუბსიდიები	23 041,4	13 996,9	60,7%
გრანტები	15,0	2,5	16,7%
სოციალური უზრუნველყოფა	18 667,7	12 807,5	68,6%
სხვა ხარჯები	49 206,0	26 309,5	53,5%
საოპერაციო სალდო	**92 502,8**	**111 087,5**	**120,1%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**118 275,5**	**68 159,1**	**57,6%**
ზრდა	131 275,5	75 400,1	57,4%
კლება	13 000,0	7 241,0	55,7%
მთლიანი სალდო	**-25 772,7**	**42 928,4**	**-166,6%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-52 650,0**	**29 180,5**	**-55,4%**
ზრდა	0,0	29 180,5	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	29 180,5	-
კლება	52 650,0	0,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	52 650,0	0,0	-
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	-
ვალდებულებების ცვლილება	**-26 877,3**	**-13 747,8**	**51,2%**
ზრდა	0,0	0,1	-
საგარეო		0,1	-
კლება	26 877,3	13 747,9	51,2%
საშინაო	26 877,3	13 747,9	51,2%
ბალანსი	**0**	**0**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსულობები	**308,727.2**	**251,726.8**	**81.5%**
შემოსავლები	295,727.2	244,485.8	82.7%
არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	7,241.0	55.7%
გადასახდელები	**361,377.2**	**222,546.3**	**61.6%**
ხარჯები	203,224.4	133,398.3	65.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	131,275.5	75,400.1	57.4%
ვალდებულებების კლება	26,877.3	13,747.9	51.2%
ნაშთის ცვლილება	**-52,650.0**	**29,180.5**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 251 726.8 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2023 წლის მთლიანი დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 81.5%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 86 681.5 ათასი ლარი (შემოსულობების 34.4%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 83 326.4 ათასი ლარი (შემოსულობების 33.1%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 74 477.9 ათასი ლარი (შემოსულობების 29.6%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე (პრივატიზებიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 7 241.0 ათასი ლარი (შემოსულობების 2.9%).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**244,485.8**	***97.1%***
1.1	გადასახადები	86,681.5	*34.4%*
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	83,326.4	*33.1%*
1.3	სხვა შემოსავლები	74,477.9	*29.6%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**7,241.0**	***2.9%***
ჯამი		**251,726.8**	***100%***

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	**შემოსავლები**	**295,727.2**	**244,485.8**	***51,241.4***	***82.7%***
1.1	გადასახადები	96,206.8	86,681.5	*-9,525.3*	*90.1%*
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	136,373.9	83,326.4	*-53,047.5*	*61.1%*
1.3	სხვა შემოსავლები	63,146.5	74,477.9	*11,331.4*	*117.9%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**13,000.0**	**7,241.0**	***-5,759.0***	***55.7%***
ჯამი		**308,727.2**	**251,726.8**	***-57,000.4***	***81.5%***

მიმდინარე წლის 10 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 81,5%-ია.





<u>შემოსავლები</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 295 727.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 244 485.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 82.7%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

<u>გადასახადები</u>

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 86 681.5 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 96 206.8 ათასი ლარის 90,1%-ია, კერძოდ: ქონების გადასახადი - 39 494.41 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 47 187.1 თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 48,8%-ს.

<u>გრანტები და ფინანსური დახმარება</u>

2023 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 83 326.4 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 136 373.9 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 83 267.7 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი 44 052,2 ათას ლარს, სპეციალური ტრანსფერი 39 038,4 ათასი ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 177,2 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების (გრანტები) წილი 33,0%-ია.

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 63 146.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 74 477.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100,4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 117.9%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 10 245.95 ათასი ლარი, მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 7 968.6 ათასი ლარი;

- **რენტის** სახით მიღებულია 2 277.3 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 52 560.7 ათასი ლარი, აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 52 290.3 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 1 042.9 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** - 1.4 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - 5.6 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 47 789.1 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის** - 232.4 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 3 218.9 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 270,4 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 10 042,4 ათასი ლარი.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 1 629.0 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



<u>**არაფინანსური აქტივების კლება**</u>

2023 წლის 10 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 7 241.0 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 55.7%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამულ ჭრილში

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე** 2023 წლის 10 თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 24 615.6 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 2 087.3 ათასი ლარი;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 5 617.9 ათასი ლარი;
  - სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 16 903.0 ათასი ლარი;
  - წვევამდელთა ტრანსპორტირება - 7.5 ათასი ლარი.

- **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება** 102 999.0 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 44 938.9 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 15 709.6 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 10 135.1 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი - 24 355.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 694.5 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 5 477.4 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 1 687.7 ათასი ლარი.

- **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება** 24 228.5 ათასი ლარით, მათ შორის:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 13 048.3 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 11 180.2 ათასი ლარი;

- **განათლების სფერო დაფინანსდა** 27 834.4 ათასი ლარით, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდა განათლება - 27 752.9 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 81 .5 ათასი ლარი;

- **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** 15 822.0 ათასი ლარით, მათ შორის:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 5 032.5 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 2 171.6 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 3 716.5 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 931.7 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 1 819.4 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 150.3 ათასი ლარი.

- **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა** 19 884.5 ათასი ლარით, მათ შორის:

- ჯანმრთელობის დაცვა - 5 318.7 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 13 806.7 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 759.1 ათასი ლარი.

- **ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარების დაფინანსება** 393.8 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ქალაქის ურბანული განვითარება - 336.9 ათასი ლარი.
  - ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 56.9

- **მუნიციპალური სერვისების განვითარებიდ დაფინანსება** 6 768.6 ათასი ლარით, მათ შორის:
  - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 6 768.6 ათასი ლარი.

2023 წლის გადასახდელების ნაწილში 10 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 222 546.3 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის - 361 377,2 ათასი ლარის 61.6%-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 10 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი (10 თვე)	შესრულების %	%-ლი წილი
I	**ხარჯები**	**203,224.4**	**133,398.3**	**65.6%**	**59.9%**
1	**შრომის ანაზღაურება**	**37,387.6**	**29,455.9**	**78.8%**	**13.2%**
2	**საქონელი და მომსახურება**	**70,101.3**	**48,430.5**	**69.1%**	**21.8%**
3	**პროცენტი**	**4,805.4**	**2,395.5**	**49.9%**	**1.1%**
4	**სუბსიდიები**	**23,041.4**	**13,996.9**	**60.7%**	**6.3%**
5	**გრანტები**	**15.0**	**2.5**	**16.7%**	**0.0%**
6	**სოციალური უზრუნველყოფა**	**18,667.7**	**12,807.5**	**68.6%**	**5.8%**
7	**სხვა ხარჯები**	**49,206.0**	**26,309.5**	**53.5%**	**11.8%**
II	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**131,275.5**	**75,400.1**	**57.4%**	**33.9%**

III	**ვალდებულებების კლება**	**26,877.3**	**13,747.9**	**51.2%**	**6.2%**
გადასახდელების ჯამი		**361,377.2**	**222,546.3**	**61.6%**	**100%**

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 29 455.9 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 13.2%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 48 430.5 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 21.8%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2 395.5 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1.1%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 13 996.9 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6.3%.

გრანტების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 2.5 ათას ლარს.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 12 807.5 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 5.8%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 26 309.5 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 11.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 75 400.1 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების - 33.9%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13 747.9 ათასი ლარი, ხვედრითი წილი 6.2%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები (10 თვის საკასო შესრულება 222 546.3 ათასი ლარი)